

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
საქართველოს მთავრობას				
<p>მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნეს ქმედითი მექანიზმი საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე პრემიისა და დანამატის გაცემის საკითხის დარეგულირების მიზნით;</p> <p>აუცილებელია, დამატებით განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემიის გაცემის დასაბუთება, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თანამშრომელთა პრემირების ჯანსაღი სისტემის ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის გამჭვირვალობის ზრდას;</p> <p>მნიშვნელოვანია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების დანერგვის მიმართულების მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, რაც უზრუნველყოფდა პრემიისა და დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას;</p> <p>მიზანშეწონილია საჯარო სექტორში შტატგარეშე მომუშავეთა დაქირავების პროცესის მარეგულირებელი ნორმების</p>	2016 - 2017	<p>საჯარო სამსახურის ბიურო</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</p>	<p>„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;</p> <p>„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი</p>	<p>აღნიშნული რეკომენდაციებით გათვალისწინებული საკითხები მოცულია საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც გასულ წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა.</p> <p>კანონი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ახალ სისტემას და ითვალისწინებს დავალებას შეიქმნას სპეციალური კანონი, რომელიც დაარეგულირებს საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების საკითხებს.</p> <p>2016 წელს შემუშავდება შრომის ანაზღაურების სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საჯარო სამსახურის ახალი კანონით განსაზღვრულ საჯარო სამსახურის სისტემასთან.</p> <p>შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს აღნიშნულ კანონპროექტს.</p> <p>მიმდინარეობს ანალიტიკური სამუშაოები, კანონპროექტის მოსამზადებლად</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
დახვეწა და დეტალიზაცია მათი არსებულ რეალობასთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;				
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ოპტიმიზაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი „სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის“ მიერ განისაზღვროს გონივრული ვადები მხარჯავი უწყებების მიერ წარმოდგენილი ოპტიმიზაციის გეგმების განხილვისა და დამტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილებისა და სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენისა და ჩანაცვლების, აგრეთვე მათ მოვლა-შენახვის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების ამოქმედება;	2016	სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	ცვლილების შეტანა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებაში	მიმდინარეობს მუშაობა ოპტიმიზაციის გეგმებზე და შესაბამისი ცვლილებების მომზადებაზე, რათა მარეგულირებელ აქტებში საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი „სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის“ მიერ განისაზღვროს გონივრული ვადები მხარჯავი უწყებების მიერ წარმოდგენილი ოპტიმიზაციის გეგმების განხილვისა და დამტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილებისა და სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენისა და ჩანაცვლების, აგრეთვე მათ მოვლა-შენახვის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების ამოქმედება.
მიზანშეწონილია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს, ერთის მხრივ, სსიპ-ების ანგარიშებზე ნაშთის სახით არსებული თანხების ოდენობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის	2016-2018	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ცენტრალური, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ავტონომიური	2015 წლის იანვრიდან ცენტრალური ხელისუფლების და თვითმმართველი ქალაქების საჯარო სამართლის იურიდიული პირების/არასამეწარმეო (არაკომერციული)

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>გამოსაყოფი სახსრების მოცულობის განსაზღვრის ეტაპზე, მეორეს მხრივ, ზემოხსენებული დინამიკის გათვალისწინებით, აღნიშნული სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნებისათვის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფაზე, სსიპ-ებისათვის დამოუკიდებლობისა და მოქნილობის ოპტიმალური დონის შენარჩუნების პარალელურად.</p>			<p>რესპუბლიკის კონტროლს დაქვემდებარებული ყველა სსიპ-ის და ა(ა)იპ-ის ოპერაციები აღირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში არსებული ანგარიშების მეშვეობით და სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით</p>	<p>იურიდიული პირების, ხოლო 2016 წლიდან ყველა სხვა მუნიციპალიტეტის კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ი/ა(ა)იპ-ი, გარდა საბიუჯეტო ბაღებისა და საჯარო სკოლებისა საბიუჯეტო პროცესის მართვა ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ყველა ოპერაცია ხორციელდება ხაზინის ანგარიშთა სისტემის მეშვეობით. აღნიშნული უზრუნველყოფს ყოველდღიურ რეჟიმში ინფორმაციის სისწორესა და გამჭვირვალობას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.</p>
<p>საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ფარგლებში, მიზანშეწონილია ელექტრონული მთავრობის სტრატეგიის დამტკიცება, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მთავრობის გრძელვადიან ხედვას ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით და ამასთანავე, შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - „საქართველო 2020“-ის, სტრატეგიულ მიზნებთან;</p> <p>მიზანშეწონილია, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიენიჭოს დამატებითი უფლებამოსილება ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების</p>	<p>2016-2020</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო</p>	<p>„ციფრული საქართველო - ელ-საქართველო 2014-2018 სტრატეგია და სამოქმედო გეგმის“ ინდიკატორები</p>	<p>2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, ყველა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და ასევე ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით შემუშავებულ იქნა საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2020, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ 2015 წლის აგვისტოს თვეში. ეს რეფორმა მიზნად ისახავს საჯარო ადმინისტრირების ყველა სხვა კომპონენტებთან ერთად სახელმწიფო სერვისების მიწოდებისთვის ერთიანი პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებას, რომელსაც საფუძვლად დაედო მოქალაქეთათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების გაწევის პრინციპი და ითვალისწინებს რეგულაციის შემოღებას ცენტრალურ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხელმისაწვდომობის ერთგვაროვნებას, მისი ხარისხის სტანდარტს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგია თავის</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>შესრულების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიმართ სანქციის გამოყენების შესაძლებლობა;</p> <p>საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთავრობამ სტრატეგიულად დაგეგმოს მონაცემთა ცენტრების (data centres) და სარეზერვო ობიექტების მოწყობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო სერვისების უწყვეტი მიწოდება მინიმალური დანახარჯების გათვალისწინებით;</p>				<p>თავში მოიცავს და აერთიანებს შემდეგ დოკუმენტებს: „ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“, „ციფრული საქართველო - ელ-საქართველოს 2014-2018 წწ. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ და „საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წწ. სტრატეგია“. ამ დოკუმენტით ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება ელექტრონული სერვისების მდგრადი განვითარება ქვეყანაში, მათი გამჭვირვალობა და ასევე, ხარისხი და ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის.</p> <p>(საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2020) იხილეთ დამტკიცებული დოკუმენტი http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=423&info_id=49307)</p>
<p>ფინანსთა სამინისტროს</p>				
<p>აუცილებელია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწასა და დეტალიზაციაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის, ან მათი ცვლილების შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესის დახვეწასა და ბიუჯეტის კანონით</p>				<p>საბიუჯეტო კოდექსით და ეკონომიკური თავისუფლების აქტით დადგენილი ლიმიტები შესაბამისობაშია საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, მთავრობა შესაბამისი აქტით ადგენს სხვადასხვა შეზღუდვებს და ამ მიმართულებით ამ ეტაპზე საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის.</p> <p>ამასთან, საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით საჭიროა შედეგზე ორიენტირებული მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად ჩამოყალიბება და შესრულების ანგარიშგებაში ამ</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
დამტკიცებული გეგმური მაჩვენებლების მასშტაბური ცვლილებების თავიდან აცილებას.				მიმართულების გაძლიერება.
მიზანშეწონილია ფინანსთა სამინისტროს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსური მონაცემების შეგროვების პროცესში დაინერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს;				საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვების პროცესში კონტროლის მექანიზმები პრაქტიკულად დანერგილია, მას შემდეგ, რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების მართვა, 2015 წლის იანვრიდან ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული პროგრამით.
ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საშინაო ვალის სახით მიღებული სახსრების გამოყენების მიზნობრიობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების ინიცირება;	2016	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც იხილება საქართველოს მთავრობის მიერ. აღნიშნული ეფუძნება მსოფლიო ბანკის მისიის რეკომენდაციებს ვალის მართვის სისტემის მიმართულებით.
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმიზაციის მიზნით, შემუშავებულ იქნეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის, საშინაო საკრედიტო ბაზრის განვითარების მიმართულებით;	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სახელმწიფო ვალის სტრუქტურა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანმიმდევრულად ავითარებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარს, როგორც საშინაო საკრედიტო ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 36 აუქციონი, გამოშვებული იყო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები 842,996.0 ათასი ლარის მოცულობით. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 48.5% იყო 12 თვის

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 29.6% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 19.5% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.4% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.
განხილულ იქნეს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობა და შემუშავებულ იქნეს აღნიშნულ სისტემაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა;	მიმდინარე-2020	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	ფუნქციონირებს შესაბამისი ელექტრონული მოდულები	მუშაობა ამ მიმართულებით დაწყებულია და მუშავდება ელექტრონული სისტემა - ხაზინის მთავარი წიგნი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ტრანზაქციების და ჩანაწერების ერთიან სისტემაში ინტეგრირებას, რაც საკმაოდ შრომატევად და ხანგრძლივი პროცესს წარმოადგენს. ამ ეტაპზე შემუშავებულია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული შესაბამისი ფუნქციონალი შრომის ანაზღაურებისათვის; ასევე, საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვისათვის. გრძელდება მუშაობა შესაბამისი მოდულების შესაქმნელად სხვა კატეგორიისათვის.
დაიხვეწოს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების ფორმირებისა და მიღწეული შედეგების ანგარიშების შესახებ დეტალური განმარტებების მომზადების მიზნით;	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	წლიური ბიუჯეტის დანართი მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ	პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში ცვლილებები განხორციელდა 2015 წლის აგვისტოში და 2016 წლის ბიუჯეტის მომზადებისას გამოყენებული იქნა განახლებული მეთოდოლოგია. მუშაობა გაგრძელდება 2016 წელს, უწყებების სპეციფიკის გათვალისწინებით უფრო დეტალური სახელმძღვანელოს მოსამზადებლად.
საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, მომზადდეს უფრო დეტალური				

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
ინსტრუქციები შედეგების შეფასების ინდიკატორების დაგეგმვის შესახებ. ასევე საჭიროა დაიხვეწოს და უკეთ განიმარტოს ინდიკატორების უკვე არსებული კრიტერიუმები, რომელთაც შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდეს.				
ფინანსთა სამინისტროსა და საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების განმახორციელებლებს				
აუცილებელია გაუმჯობესდეს კოორდინაციისა და დაგეგმვის პროცესი - საინვესტიციო სესხების ფარგლებში თანხების ათვისებასა და პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროექტის განხორციელებასთან და სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები;	2015-2017	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მხარჯავი დაწესებულებები	მეთოდოლოგია საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის	საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას სახსრების ათვისება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, პროექტის სირთულიდან გამომდინარე, რაც ზოგ შემთხვევაში იწვევს ათვისების დაყოვნებას. ამასთან, მთავრობა მუშაობს პროექტების განხორციელების გაძლიერების მიმართულებით. მსოფლიო ბანკთან ერთად შემუშავდა სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც 2016 წელს პილოტურ რეჟიმში დაიწყება საინვესტიციო პროექტების მომზადება. მეთოდოლოგიის სრულად ამოქმედების შემდეგ საინვესტიციო პროექტების განხორციელების სრული ციკლისათვის ჩამოყალიბდება სრულყოფილი ჩარჩო.
ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს				
მნიშვნელოვანია საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით შექმნილი კომისიის შეკრება იმართებოდეს რეგულარულად (ყოველწლიურად),	მიმდინარე	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი	კომისიის შეკრების თარიღები	2015 წლის 14 დეკემბერს გაიმართა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა																				
<p>რათა დროულად მოხდეს ბიუჯეტში მისამართი თანხების ოდენობის განსაზღვრა;</p> <p>მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ქმედითი მექანიზმების გამოყენების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომისიასთან შეთანხმებების საფუძველზე განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად და სრულად მობილიზება.</p>		<p>საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიმღები კომისია</p>		<p>წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისია სახელმწიფო უზრუნველყოფის კომისიის შეკრების რეგულარულობას;</p>																				
<p>საბიუჯეტო ორგანიზაციებს</p>																								
<p>წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა, მათ შორის, წლის დასასრულს შესყიდვების გეგმების ცვლილება და მათ საფუძველზე დაჩქარებული ტემპით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება, აგრეთვე საგარეო საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების არათანაბარზომიერი ათვისება, ქმნის რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს და ამასთანავე, უარყოფითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, აღნიშნულ საკითხზე გამახვილდეს დამატებითი ყურადღება, როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან; მიზანშეწონილია, ეტაპობრივად</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საბიუჯეტო ორგანიზაციები</p>	<p>კვარტლების ათვისების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით</p>	<p>2015 წელი გამოირჩეოდა ბიუჯეტის ხარჯვის ყველაზე თანაბარი ტენდენციით და ამ მიმართულებით მთავრობა აგრძელებს მუშაობას.</p> <p>სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება კვარტლების მიხედვით</p> <table border="1" data-bbox="1476 922 2064 1154"> <thead> <tr> <th></th> <th>I კვ</th> <th>II კვ</th> <th>III კვ</th> <th>IV კვ</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>2013</td> <td>19.3%</td> <td>22.6%</td> <td>23.8%</td> <td>34.3%</td> </tr> <tr> <td>2014</td> <td>20.5%</td> <td>23.4%</td> <td>24.7%</td> <td>31.4%</td> </tr> <tr> <td>2015</td> <td>21.7%</td> <td>23.9%</td> <td>25.9%</td> <td>28.6%</td> </tr> </tbody> </table> <p>ამასთან აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოსათვის მაღალი ათვისების ტენდენცია ბუნებრივია და დამოკიდებულია ბევრი პროექტის შინაარსსა და კონტექსტზე, ასევე შემოსულობების მიღების დინამიკაზე.</p>		I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	2013	19.3%	22.6%	23.8%	34.3%	2014	20.5%	23.4%	24.7%	31.4%	2015	21.7%	23.9%	25.9%	28.6%
	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ																				
2013	19.3%	22.6%	23.8%	34.3%																				
2014	20.5%	23.4%	24.7%	31.4%																				
2015	21.7%	23.9%	25.9%	28.6%																				

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის დარეგულირებასა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვისათვის ქმედითი სტიმულების შექმნას				
აუცილებელია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან დამატებითი ყურადღება მიექცეს წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილების საკითხს და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული გასული წლების გამოცდილება;	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მხარჯავი დაწესებულებები	ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები; მაკონტოლებელი ორგანოების შეფასება და რეკომენდაციები	აღნიშნული საკითხისათვის მნიშვნელოვანია პროგრამული ბიუჯეტირების დახვეწა და შედეგზე ორიენტირებულ მართვაზე გადასვლა. თავისთავად ბიუჯეტის პროგრამებს შორის ცვლილებების მეტად შეზღუდვა შედეგის მომტანი ნაკლებად იქნება, მუშაობა მიმდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მაკონტოლებელი ორგანოების მხრიდან რათა სრულყოფილად დაინერგოს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება.
მიზანშეწონილია, მოხდეს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის სრულყოფილი დასაბუთება;				საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება თანხის გამოყოფა, ყოველთვის თან ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურადაა აღწერილი თანხის გამოყოფის აუცილებლობა და მიზნობრიობა, გადაწყვეტილების მიღება კი ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ.
აუცილებელია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი;				წლის განმავლობაში წარმოქმნილი გამოწვევების ფონზე, ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის რესურსის მოძიება.
სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“				
უნდა განისაზღვროს სახელმწიფო	მიმდინარე	სსიპ -		მუშაობა ამ მიმართულებით დაწყებულია.

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>საწარმოების დაფუძნების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ასევე მოხდება ქვეყნისათვის უკვე არსებული მნიშვნელოვანი საწარმოების სახელმწიფო მმართველობის ქვეშ შენარჩუნება;</p>		<p>სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო</p>		<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მიერ.</p>
<p>სააგენტომ პირველ რიგში უნდა განახორციელოს ქვეყანაში არსებული ყველა სახელმწიფო საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) აღრიცხვა, აგრეთვე მათი აქტივებისა და პასივების შესახებ ინფორმაციის განახლება. შემდგომ უკვე ფუნქციონირებად საწარმოებში უნდა დაინერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რადგან, ერთი მხრივ, მინიმუმამდე შემცირდეს თაღლითობისა და კანონთან შეუსაბამო საქმიანობის რისკი და მეორე მხრივ, გაიზარდოს საწარმოს მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება;</p>		<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>		<p>სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული ფისკალური რისკის შეფასების მიზნით ფინანსთა სამინისტრომ 2015 წლიდან დაიწყო სახელმწიფო საწარმოებზე ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. პირველ ნაბიჯად მომზადდა სახელმწიფო საწარმოთა ბაზა. მოზიდული იქნა ფინანსური ინფორმაცია და აგრეთვე ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ. მომზადდა კითხვარები რომელიც დაეგზავნათ საწარმოებს. შესაბამისი ანალიზი დაერთო 2016 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს.</p>
<p>უნდა მოხდეს რეპორტინგის სისტემის უნიფიცირება და ანგარიშის ნიმუშის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფო საწარმო რეგულარულად წარუდგენს საქმიანობის ანგარიშსა და ფინანსურ მაჩვენებლებს მმართველ ორგანოს (სააგენტოს, სამინისტროებს).</p>				
<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს</p>				
<p>მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნეს შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს „მეცნიერების აღდგენისა და განვითარების“ ქვეპროგრამიდან თანხების გამოყოფის</p>				<p>2015 წელს პრაქტიკა შეიცვალა და „მეცნიერების აღდგენისა და განვითარების“ ქვეპროგრამის განკარგვა ხორციელდება ამავე პროგრამული კოდის ქვეშ.</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
წესს, მათ მიზნობრიობას, მოსალოდნელ შედეგს და დასაფინანსებელი სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალს.				
<i>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს</i>				
განხილულ იქნეს სამთავრობო კომისიის განკარგვაში არსებული სახსრებიდან თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი მინიმალური თანხობრივი ლიმიტის ნორმატიულ დონეზე განსაზღვრის შესაძლებლობა	მიმდინარე	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	რესურსების განაწილების რეგულაციები	კომისიისათვის წინადადების წარდგენა შეუძლია ყველა მუნიციპალიტეტს და გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია წარმოდგენილ პროექტებზე და პრაქტიკულად ფონდიდან დაფინანსებას იღებს ყველა მუნიციპალიტეტი (თბილისის და აჭარის მუნიციპალიტეტების გარდა). ამასთან, წლის მანძილზე დამატებითი თანხების გამოყოფა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის მიერ არსებული პროექტების ათვისების ტენდენციასზე.
შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში კადრების პერიოდულ გადამზადებას საპროექტო წინადადებებისა და პროექტების სასიცოცხლო ციკლის მართვის გაუმჯობესების კუთხით.		საქართველო რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სსიპ - ვანო ხუხუნიძეის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და		დონორებთან თანამშრომლობით ხორციელდება მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა ეტაპობრივი გადამზადება. შემუშავებულია საჯარო მოხელეთა სკოლის შექმნის კონცეფცია, რაც უზრუნველყოფს კადრების გადამზადების კუთხით სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას.

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
		ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი სხვადასხვა სამინისტროების სასწავლო ცენტრები		
<i>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს</i>				
შემუშავდეს ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე პროექტების მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღებასა და მათ დადოკუმენტირებას, ხოლო დასრულებული პროექტებისათვის - დასრულებული პროექტების შესახებ ანგარიშების დროულ წარდგენას;	2016-2018	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შემუშავებულია მეთოდოლოგია	მსოფლიო ბანკთან ერთად შემუშავდა სახელმწიფო ინვესტიციების მართვის მეთოდოლოგია, რომლითაც უზრუნველყოფილია საინვესტიციო პროექტების მართვის სრული ციკლის ჩამოყალიბება პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპიდან შესრულების შემდგომი შეფასების ეტაპის ჩათვლის. 2016 წელს მოხდება პილოტირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მუნიციპალიტეტების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი და რუსთავი) მიერ.
შემუშავდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუნიციპალიტეტებიდან წარსადგენი ანგარიშის სპეციალური ფორმა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი დასრულებული პროექტის შესახებ ინფორმაცია.				
<i>ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს</i>				
დაგეგმვის ეტაპზევე გაითვალისწინონ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო	2016-2018	საქართველოს რეგიონული განვითარების და	შემუშავებულია მეთოდოლოგია	მსოფლიო ბანკთან ერთად შემუშავდა სახელმწიფო ინვესტიციების მართვის მეთოდოლოგია, რომლითაც

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>დაბრკოლებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროექტების დაგვიანებით დასრულება;</p> <p>ყურადღება მიექცეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილი მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მიხედვით მომზადებულ დანართ №2-ში მითითებული ინფორმაციის რეალისტურობასა და სიზუსტეს;</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მხოლოდ იმ პროექტებზე წარმოადგინონ დასრულების შესახებ ინფორმაცია (ანგარიში), რომლებზეც გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე, ანგარიშთან ერთად წარადგინონ პროექტის მიღება-ჩაბარების აქტი და ექსპერტის დასკვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რამდენიმე პატარა პროექტის ერთ დიდ პროექტად გაერთიანების შემთხვევაში კი, დასრულებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას მიეთითოს, კონკრეტულად რომელი პროექტი დასრულდა.</p>		<p>ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>		<p>უზრუნველყოფილია საინვესტიციო პროექტების მართვის სრული ციკლის ჩამოყალიბება პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპიდან შესრულების შემდგომი შეფასების ეტაპის ჩათვლის.</p> <p>2016 წელს მოხდება პილოტირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მუნიციპალიტეტების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი და რუსთავი) მიერ.</p>